**საფინანსო პროდუქტის უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის მინიმალური მოთხოვნები:**

ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, საფინანსო პროდუქტის მისაღებად/შენარჩუნებისთვის იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის დაზღვევა აუცილებელია.

მომხმარებელი უფლებამოსილია, დაზღვევის პოლისი წარმოადგინოს ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიიდან. ასეთ შემთხვევაში, დაკმაყოფილებული უნდა იყოს ყველა შემდეგი პირობა:

1. დაზღვევის პოლისის გამცემ სადაზღვევო კომპანიას (მზღვეველს) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია;

2. დაზღვევის პოლისში უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის ერთადერთ მოსარგებლედ (ბენეფიციარად) მითითებული უნდა იქნას სს პროკრედიტ ბანკი, თანადაფინანსებით გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის შემთხვევაში შესაძლებელია იყოს გერმანიის პროკრედიტ ბანკიც;

3. შესაძლებელია დაზღვევის პოლისი წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ვადით, მაგრამ სავალდებულოა ყოველი ვადის გასვლამდე 3 (სამი) დღით ადრე განახლდეს და მოქმედი იყოს მომხმარებელსა და ბანკს შორის გაფორმებული საფინანსო პროდუქტის მოქმედების ვადის განმავლობაში;

4. დაზღვევის პოლისი უნდა ითვალისწინებდეს მზღვეველის მიერ ბანკის (მოსარგებლის) შეტყობინების ვალდებულებას, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადა გადაცილებისა და პოლისის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული მიზნით ბანკის საკონტაქტო ინფორმაციაა:

   - მის: ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი, საქართველო; ან
   - ელ. ფოსტა: **Geo.info.insurance2@procredit-group.com**

5. დაზღვევის პოლისში მითითებული უნდა იყოს დაზღვეული ქონების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და ქონების სადაზღვევო ღირებულება; ამასთან, ეს ღირებულება განსაზღვრული უნდა იყოს კონსტრუქციული ელემენტებისა და შიდა მოპირკეთება-რემონტისთვის ერთიანად, დაყოფის გარეშე.

6. უძრავი ქონების დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვეული უნდა იყოს სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული შენობა-ნაგებობა ან სხვა კონსტრუქცია მთლიანად, მათი განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტების ჩათვლით (იგულისხმება ნებისმიერი სახის წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელექტროსისტემები და სხვა) და შიდა მოპირკეთება-რემონტი.

7. დაზღვევის პოლისი უნდა ითვალისწინებდეს უზრუნველყოფის საგნის დაზღვევას ქონების საბაზრო ღირებულებით. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს, ზიანის ოდენობის დაანგარიშება უნდა მოხდეს ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის ობიექტი არის მიწის ნაკვეთზე ცალკე მდგომი შენობა, მისი დაზღვევის მიზნით, პოლისში საბაზრო ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს შენობის აღდგენითი ღირებულების შესაბამისად, მიწის ღირებულების გარეშე.

8. დაზღვევის პოლისის მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები უნდა იყოს ბანკი, სადაზღვევო ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი ფორმით: ა) აღდგენა-შეკეთების ხარჯების ანაზღაურება; ბ) ზიანის ოდენობის ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურება განადგურებული ქონების ანალოგიურით შეცვლით, შესაძლებელია მხოლოდ ბანკის (მოსარგებლის) წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

9. უძრავი ქონების დაზღვევა უნდა განხორციელდეს შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან:

- ხანძარი: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;
- წყლით დაზიანება: წყალგაყვანილობის, წყლის გათბობისა ან საკანალიზაციო სისტემის დაზიანება, წყლის შემოჭრა მეზობელი სადგომიდან, მიწისქვეშა წყლის ამოსვლა, გრუნტის, მდგარი ან გამდინარე წყლის ზემოქმედებით;
- ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება: ქურდობა გატეხვით ან ფარული შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა;
- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაჯახება ან/და საგნის დაცემა: ქონებაზე სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაჯახება საფრენი აპარატის ან მისი ნაწილის საგნის დაცემა (მ.შ.: ხის, ელექტროგადამცემი ბოძის და ა.შ);
- სტიქიური უბედურება: ძლიერი ქარი (ქარიშხალი, გრიგალი), სეტყვა, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა სტიქიური უბედურება (გარდა მიწისძვრისა);
- მიწისძვრა: ქონების დაზიანება მიწისძვრის შედეგად, თუ ეს გამოწვეულია არაა უშუალოდ ქონების სეისმური შეუსაბამობით;
- მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ვანდალიზმი) (გარე მინის დაზიანების გარდა);
- გარე მინის დაზიანება დაზღვეული რისკის შედეგად (მინის ფანჯარა, ვიტრინა, ვიტრაჟი, კარი, კედელი).

10. სპეციალური მანქანა-დანადგარების დაზღვევა უნდა განხორციელდეს შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან:
    - ხანძარი/აფეთქება;
    - სტიქიური უბედურებები.
    - გადაბრუნება, ჩავარდნა, შენობის ან მისი ნაწილის ჩამონგრევა;
    - შენობის შიგნით ან მის ეზოში შიდა გადასაადგილებელი მანქანა-დანადგარის დაჯახება;
    - საგნის დაჯახება-დაცემა (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ჩათვლით ან მის გარეშე);
    - მესამე პირის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა/ვანდალიზმი);
    - საწარმოო ავარია/უბედური შემთხვევა.

**თუ საფინანსო პროდუქტის მისაღებად/შენარჩუნებისთვის მომხმარებელი წარადგენს სადაზღვევო პოლისს, რომელიც არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ყველა პირობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება არ მიიღოს სადაზღვევო პოლისი.**